07.06.2023

#06/12

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს

სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-ს საქმიანობის სფეროს განეკუთვნება ნავთობპროდუქტების მიღება-შენახვა-რეალიზაცია. აღნიშნული მიზნით კომპანია ოპერირებას უწევს, როგორც ნავთობპროდუქტების საცავს/ნავთობბაზას, ისე ქვეყნის სხვადასხვა ლოკაციაზე განთავსებულ ავტოგასამართ სადგურებს.

სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-ს ერთ-ერთი ავტოგასამართი სადგური მდებაროებს ქალაქ ვანში, სანაპიროს ქუჩა 12ა-ში. ობიექტის ფუნქციას წარმოადგენს ნავთობპროდუქტების (ბენზინი, დიზელი) მიღება და რეალიზაცია. ობიექტი სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" მფლობელობაშია 2014 წლიდან.

სს „ვისოლ პეტროლიუე ჯორჯია"-ს გადაწყვეტილებით, ქალაქ ვანში მდებარე ზემოაღნიშნულ ობიექტზე დაიგეგმა დამატებით 5მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების ახალი საცავის (მიწისქვეშა რეზერვუარის) მოწყობა-ექსპლუატაცია, რაც მოქმედი საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად სკრინინგის პროცედურის გავლას საჭიროებს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მომზადდა წინამდებარე სკრინინგის ანგარიში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად, სკრინინგის პროცედურის გავლის მიზნით, წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი:

1. ქ. ვანში, სანაპიროს ქ. 12ა -ში მდებარე ავტოგასამართ სადგურზე ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა ექსპლუატაციაზე სკრინინგის ანგარიშის ელ.ვერსია (PDF)
2. SHP ფაილები

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
„14" 06 2023
№ 5454

პატივისცემით,
გენერალური დირექტორის მოადგილე — გ. ხიტირი